ა. პროგრამის დასახელება

სამაგისტრო პროგრამა გენდერის კვლევაში
Master's (MSocSc) Program in Gender Studies

ბ. მისანიჭებელი კვალიფიკაცია

გენდერის კვლევის მაგისტრი
Master of Social Sciences (MSocSc) in Gender Studies

გ. პროგრამის მოცულობა კრედიტებით

ხარისხის მინიჭების პირობაა 120 კრედიტის (ECTS) დაგროვება სასწავლო კურსებით (80 კრედიტი), კვლევითი სემინარითა და პრაქტიკით (10 კრედიტი), სამაგისტრო შრომით (30 კრედიტი). სწავლის ხანგრძლივობაა 2 აკადემიური წელიწადი (2011 წლის სექტემბერი - 2013 წლის ივნისი), ანუ ოთხი აკადემიური სემესტრი.

დ) სწავლების ენა

სწავლების ენაა ქართული. თუმცა, პროგრამის წარმატებით დასასრულებლად სტუდენტისთვის აუცილებელია ინგლისური ენის მაღალ დონეზე ფლობა, ვინაიდან სასწავლო მასალის ძირითადი ნაწილი ინგლისურ ენაზეა.

გარდა ამისა, პროგრამის კურიკულუმში შემავალი ზოგიერთი არჩევითი კურსი ინგლისურ ენაზე ტარდება (საერთაშორისო გაცვლითი სტუდენტებისათვის), თუმცა, ქართულენოვანი პროგრამის სტუდენტებს აქვთ უფლება, წერითი დავალებები ქართულ ენაზე შეასრულონ. პროგრამის სტუდენტების თანხმობის/სურვილის შემთხვევაში შესაძლოა, ზოგიერთი სავალდებულო კურსიც ინგლისურ ენაზე ჩატარდეს, თუკი კურსზე დარეგისტრების სურვილს გამოთქვამენ საერთაშორისო გაცვლითი პროგრამის სტუდენტები.

ე) პროგრამის მიზანი

პროგრამა ინტერდისციპლინარულია და მიზნად ისახავს:

- მისცეს სტუდენტებს უახლესი ცოდნა გენდერის, როგორც სოციალური, კულტურული, პოლიტიკური და ეკონომიკური ფენომენის შესახებ;
- განუვითაროს მათ კვლევისა და ანალიზის უნარი;
- მოამზადოს ისინი გენდერის საკითხებზე პრაქტიკული მუშაობისათვის.

სამაგისტრო პროგრამა გენდერის კვლევებში არის ამ დარგში პირველი და ერთადერთი სამაგისტრო პროგრამა მთელ კავკასიაში. პროგრამის ჩამოყალიბებას საფუძვლად დაედო მჭიდრო თანამშრომლობა სოციალურ მეცნიერებათა ცენტრს, რატგერსის უნივერსიტეტსა (აშშ, ნიუ ჯერსი) და ცენტრალური ევროპის უნივერსიტეტის (უნგრეთი, ბუდაპეშტი) გენდერის კვლევის პროგრამებს შორის. გენდერის კვლევების ინტერდისციპლინარული სამაგისტრო პროგრამის სტუდენტებს აქვთ უნიკალური შესაძლებლობა, მიიღონ დასავლური სტანდარტების შესაბამისი სამაგისტრო განათლება სოციალურ მეცნიერებებში; შეისწავლონ გენდერული თანასწორობის საკითხები სოციალურ-ეკონომიკურ და პოლიტიკურ ჭრილში, ქალთა უფლებების ისტორიული და თანამედროვე ასპექტები, ფემინისტური თეორიები.

ვ) პროგრამაზე დაშვების წინაპირობები

პროგრამაზე მიღებისათვის მოითხოვება:

- ბაკალავრის ხარისხი ან დიპლომი ნებისმიერ სფეროში; სასურველია გარკვეული ცოდნა სოციალურ მეცნიერებებში;
- საერთო სამაგისტრო გამოცდის ჩაბარება;
- სტანდარტული საგანაცხადო დოკუმენტაცია ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მაგისტრატურაში შესვლისათვის;

- სოციალურ მეცნიერებათა ცენტრის საგანაცხადო ფორმის შევსება. საუნივერსიტეტო მოთხოვნების გარდა ცენტრის საგანაცხადო ფორმაში აუცილებელია მოტივაციის წერილის წარმოდგენა, რომელშიც ასახული იქნება აპლიკანტის სურვილი, მოლოდინი, მოტივაცა და ხედვა, თუ რატომ აბარებს ის კონკრეტულად ამ სპეციალობაზე. დამატებით აპლიკანტს შეუძლია წარმოადგინოს ნებისმერი რელევანტური ინფორმაცია, რომელიც ასახავს მის აქტივობას, კვალიფიკაციის დონეს ან სამუშაო გამოცდილებას სამეცნიერო ან პრაქტიკული საქმიანობის თვალსაზრისით;
- მაგისტრანტს მოეთხოვება ინგლისური ენის ცოდნა სულ მცირე B2 დონეზე. ამ მოთხოვნის შესასრულებლად კანდიდატს შეუძლია წარმოადგინოს შესაბამისი სერტიფიკატი (TOEFL, IELTS, სხვა მათი ეკვივალენტური ტესტები), ან ჩააბაროს უცხო ენაში თსუ-ს ენათა ცენტრის მიერ ორგანიზებული სამაგისტრო მისაღები გამოცდა;
- კანდიდატთა საბოლოო შერჩევა ხდება სპეციალობაში წერითი გამოცდისა და საგანგებოდ შექმნილ კომისიასთან გასაუბრების საფუძველზე. საგამოცდო საკითებისა და შესაბამისი ბიბლიოგრაფიული რეკომენდაციების ნახვა შეიძლება სოციალურ მეცნიერებათა ცენტრის ვებგვერდზე. საკითხავი ლიტერატურის ელექტრონული ვერსიის მოთხოვნა შეიძლება ცენტრის ბიბლიოთეკაში.
- გამოცდების ფორმატი და საბოლოო ქულის გამოყვანის სტრუქტურა:
    - წერითი გამოცდა სპეციალობაში (40 %)
    - ინგლისური ენის ტესტი - B2 დონე (20%)
    - გასაუბრება (40 %)
    - საერთო სამაგისტრო გამოცდა - საკმარისია გამოცდების ეროვნული ცენტრის მიერ დადგენილი ბარიერების წარმატებით გადალახვა.

საგამოცდო საკითხები და ბიბლიოგრაფია წარმოდგენილია დამოუკიდებელი ფაილის სახით (<u>დანართი 1</u>).

ზ) სწავლის შედეგი: პროგრამის წარმატებით დასრულების შედეგად სტუდენტი აითვისებს უახლეს ცოდნას გენდერის, როგორც სოციალური, კულტურული, პოლიტიკური და ეკონომიკური ფენომენის შესახებ; შეიძენს გენდერული თვალსაზრისით საინტერესო კვლევითი თუ პრაქტიკული პრობლემების იდენტიფიკაციის უნარსა და მათ გადასაჭრელად საჭირო თეორიულ თუ პრაქტიკულ ინსტრუმენტებს; მიიღებს გენდერთან დაკავშირებულ სოციალურ პრობლემების გადაჭრაზე პრაქტიკული მუშაობის გამოცდილებას; გარდა ამისა, სტუდენტი განივითარებს ზოგადად კვლევისა და ანალიზის უნარს, დებატების კულტურას, აკადემიური წერის, პრეზენტაციისა და ჯგუფური მუშაობის უნარებს; მიიღებს როგორც თვისებრივი, ისე რაოდენობრივი სოციალური კვლევების დაგეგმვისა და ჩატარებისთვის აუცილებელ თეორიულ ცოდნას და გამოცდილებას. სტუდენტს ჩამოუყალიბდება მგრძნობელობა სხვადასხვა სახის სოციალური უსამართლობის მიმართ და განუვითარდება / განუმტკიცდება სოციალური სამართლიანობის იდეასთან დაკავშირებული ღირებულებები, აგრეთვე სოციალურ გარდაქმნაზე მიმართული პოლიტიკური და სიმბოლურ-კულტურული ბრძოლის მარეგულირებელი ღირებულებები; მას ასევე განუვითარდება / განუმტკიცდება განსხვავებული აზრისა თუ განსხვავებული ცხოვრების წესის პატივისცემა და ტოლერანტობა; სტუდენტი ასევე განივითარებს შემეცნებითი საქმიანობის მარეგულირებელ ისეთ ღირებულებებს, როგორიცაა ცოდნის ძიების პრიორიტეტი, მკვლევრის კეთილსინდისიერება და ობიექტურობა, აზროვნების ღიაობა.

პროგრამის კურსდამთავრებულები კარგად არიან მომზადებულები როგორც პრაქტიკულ სფეროებში დასაქმების, ისე დოქტორანტურაში აკადემიური კარიერის გაგრძელებისათვის. პროგრამის ყოფილი სტუდენტები მუშაობენ საერთაშორისო და ადგილობრივ არასამთავრობო ორგანიზაციებში, ასევე სამთავრობო უწყებებში ექსპერტებად, მკვლევრებად.

კურსის გავლის შემდეგ სტუდენტების მიერ ათვისებული ცოდნა და უნარები წარმოდგენილია ქვემოთ მოცემულ ცხრილში:

ცოდნა და გაცნობიერება	ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარები	ზოგადი / ტრანსფერული უნარები			ღირებულებები
		დასკვნის უნარი	კომუნიკაციის უნარი	სწავლის უნარი	
- გენდერის კვლევის თეორიული და ფილოსოფიური საფუძვლები - ფემინისტური და „ქვირ“ თეორიები და მათ შორის მიმართებები; - ფემინისტური და ანტიჰომოფობიური სოციალური მოძრაობების ისტორია და ახლანდელი მდგომარეობა; - გენდერული უსამართლობის საკითხებზე მომუშავე სამთავრობო, არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციების აქტივობა და სახელმძღვანელო პრინციპები; - გენდერის სამეცნიერო კვლევის ჩატარებისა და დამუშავების ხერხები და სრულფასოვანი სამეცნიერო და ანალიტიკური კვლევის ჩატარება;	- გენდერული უსამართლობის საკითხებზე მომუშავე სამთავრობო, არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციების აქტივობებში მონაწილეობის უნარი; - გენდერული უსამართლობის პრობლემების გადასაწყვეტად მიმართული პროექტების განვითარებისა და ასეთი პროექტების განსახორციელებლად საჭირო ფინანსური თუ ადამიანური რესურსების მობილიზების უნარი; - კვლევითი თუ სოციალური პროექტების განვითარების, მათთვის დაფინანსების მოპოვებისა და მათი განხორციელების უნარი;	- კრიტიკული აზროვნება; - ქართულ- და ინგლისურენოვანი ტექსტების გაგების და კრიტიკულად აღქმის უნარი; - ანალიზის და სინთეზის უნარები; - რელევანტური ემპირიული მონაცემების შეგროვების, მათი სისტემატიზაციისა და მათ საფუძველზე დასკვნების გაკეთების უნარი; - სამეცნიერო კვლევის დამოუკიდებლად დაგეგმვისა და	- კვლევის შედეგების წერილობით წარმოდგენის უნარი; - კვლევის შედეგების სათანადო კომპიტერული პროგრამის გამოყენებით ზეპირი პრეზენტაციის უნარი; - დისკუსიებში და პოლემიკებში ეფექტური მონაწილეობის უნარი; - დებატების წარმართვის უნარი; - ჯგუფში მუშაობის უნარი.	- ქართულ- და ინგლისურ-ენოვანი ტექსტების გაგების და კრიტიკულად აღქმის უნარი; - რელევანტური სამეცნიერო ლიტერატურის მოძიების უნარი; - სამეცნიერო კვლევის დამოუკიდებლად დაგეგმვისა და ჩატარების უნარი; - კრიტიკული აზროვნების, ანალიზის და სინთეზის უნარები; - ჯგუფში მუშაობის	- სოციალური სამართლიანობა; - პოლიტიკური აქტიურობა და პასუხისმგებლობა; - განსხვავებების აღიარება და პატივისცემა / ტოლერანტობა; - კვლევითი კეთილსინდისიე-რება; - ობიექტურობა; - აზროვნების ღიაობა და სიახლის მიმართ გახსნილობა; - რეფლექსურობა კვლევაში; - ცოდნის, როგორც ღირებულების გაცნობიერება.

- გენდერული პერსპექტივის გამოყენება სხვადასხვა სოოციალურ-პოლიტიკური საკითხის / პრობლემის ანალიზისას.	- სოციალური მეცნიერებების კვლევის მეთოდების ცოდნა და მათი სათანადო გამოყენება გენდერის პრობლემების კვლევისას; - გენდერული პოლიტიკის ანალიზი და პოლიტიკური რეკომენდაციების შემუშავება.	ჩატარების უნარი.		უნარი.	

თ) სწავლის შედეგების მიღწევის მეთოდები

აღნიშნული შედეგები მიიღწევა იმით, რომ პროგრამის კურიკულუმის კურსები მიმართულია სხვადასხვა შედეგის უზრუნველყოფაზე შედეგების ოთხივე კატეგორიის გათვალისწინებით. კურსების უმრავლესობის დიზაინი ითვალისწინებს სტუდენტებისათვის შესაბამისი თეორიული ცოდნისა და გაცნობიერების გადაცემას; ასევე მათში კვლევის, აკადემიური წერის, ზეპირი კომუნიკაციისა და პრზენტაციის, აკადემიურ დებატებში მონაწილეობისა და მათი წარმართვის, ჯგუფური მუშაობის უნარების განვითარებას. სახელდობრ, გარდა თეორიული ტექსტების სოლიდური რაოდენობით შესწავლისა, სტუდენტებს მოეთხოვებათ თხზულებების, კრიტიკული რეაქციებისა და რეცენზიების წერა, პრეზენტაციების მომზადება, დისკუსიებში მონაწილეობა, ჯგუფური დავალებების მომზადება.

რამდენიმე კურსი, ისევე, როგორც სამაგისტრო შრომა, ითვალისწინებს სტუდენტების მიერ დამოუკიდებელი კვლევის დაგეგმვას, ჩატარებას, და შედეგების წერილობით წარმოდგენას; ერთი კურსი ითვალისწინებს პრაქტიკული საპროექტო წინადადების მომზადებას; ხოლო სხვა კურსი ითვალისწინებს საჯარო პოლიტიკის ანალიზის ნარკვევების წერას - ეს კურსები უზრუნველყოფს სტუდენტებში თეორიული ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარის განვითარებას.

რამდენადაც პროგრამის კურიკულუმის შემადგენელი კურსების უმრავლესობა ასე თუ ისე ეხება გედნერული უსამართლობის საკითხებს, ისინი სტუდენტებში ავითარებს სოციალური სამართლიანობის იდეასთან დაკავშირებულ ღირებულებებს, ასევე ღირებულებებს, რომლებიც განსაზღვრავს პოლიტიკურ ანგაჟირებულობას და პასუხისმგებლობას, ანგარიშმგები და გამჭვირვალე საჯარო პოლიტიკის მოთხოვნას. ხოლო უფრო თეორიულად ორიენტირებული კურსები და კურსები, რომლებიც კვლევის მეთოდებისა და უნარების ათვისებაზეა ორიენტირებული, იმავდროულად სტუდენტებს უვითარებს კვლევითი საქმიანობის მარეგულირებელ ღირებულებებს, როგორებიცაა ცოდნის პრიორიტეტი, მკვლევრის კეთილსინდისიერება და ობიექტურობა, კვლევის რეფლექსურობა და მკვლევრის სოციალური პოზიციის პოლიტიკური შედეგების გაცნობიერება და სხვა.

თუ აღნიშნული შედეგებიდან რომლის მიღწევაზეა ორიენტირებული პროგრამის კურიკულუმის შემადგენელი ესა თუ ის კურსი, წარმოდგენილია ქვემოთ მოცემულ შედეგების რუკაში:

№	სასწავლო კურსის სახელწოდება	ცოდნა და გაცნობიერება	ცოდნის პრაქტიკაში	დასკვნის უნარი	კომუნიკაციის	სწავლის უნარი	ღირებულებები
1	შესავალი ფემინისტურ თეორიებში	X	X	X	X	X	X
2	საჯარო პოლიტიკის ანალიზი	X	X	X	X	X	X
3	სოციალური კვლევის თვისებრივი მეთოდები	X	X	X	X	X	X
4	ფემინისტური ფილოსოფია	X	X	X	X	X	X

5	აგენტობა, სუბიექტურობა და სოციალური ცვლილება	X	X	X	X	X	X
6	ქალთა უფლებების ისტორიული ასპექტები	X	X	X	X	X	X
7	კვლევითი სემინარი (მეთოდები გენდერის კვლევისთვის)	X	X	X		X	X
8	სასწავლო პრაქტიკა		X	X	X	X	X
9	გენდერი და შრომა	X	X	X	X	X	X
10	გენდერული თანასწორობა ეკონომიკურ პოლიტიკაში	X	X	X	X	X	X
11	გენდერი და ნაციონალური სახელმწიფო	X	X	X	X	X	X
12	გენდერის სოციალურ-პოლიტიკური თეორია და პრაქტიკა	X		X	X	X	X
13	სქესი, რეპროდუქცია და ფემინიზმი	X	X	X	X	X	X
14	პოსტსაბჭოთა პოლიტიკა	X		X	X	X	X
15	ლიტერატურის ფემინისტური კრიტიკა	X	X	X	X	X	X
16	გენდერი და იძულებითი გადაადგილება	X		X	X	X	X
17	მასკულინობის კვლევა	X	X	X	X	X	X
18	ქუირ თეორია და პრაქტიკა	X	X	X	X	X	X
19	გენდერი და ფსიქოანალიზი	X	X	X	X	X	
20	კულტურა და იდენტობები ცვალებად საზოგადოებაში	X	X	X	X	X	X
21	საბჭოთა კავშირის ისტორია	X	X	X	X	X	X
22	ფემინურობა და მასკულინობა შუა საუკუნეების ევროპულ კულტურაში	X		X	X	X	
23	გენდერი ვიზუალურ ხელოვნებაში	X	X	X	X	X	X
24	გენდერულად სენსიტური საჯარო პოლიტიკა და ადმინისტრირება	X	X	X	X	X	
25	გენდერი და სოციალისტური სახელმწიფო	X	X	X	X	X	
26	გენდერი და განვითარება	X	X	X	X	X	X
27	ფემინიზმი და პოსტკოლონიალიზმი						

28	**სუბკულტურის სოციოლოგია – თეორიული მიდგომები, ემპირიული კვლევები**	X	X	X	X	X	X

ი) სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემა

სტუდენტის ცოდნა თითეოული კურსის ბოლოს ფასდება 100-ბალიან სკალაზე.

სტუდენტის ცოდნის შეფასება ყველა კურსში ემყარება ე.წ. მიმდინარე შეფასებას - რაც გულისხმობს იმას, რომ სტუდენტის შეფასებაში გათვალისწინებულია მისი მოსწრება მთელი სემესტრის განმავლობაში.

კურსები მოიცავს შეფასების კომპონენტების დიდ მრავალფეროვნებას: დისკუსია, პრეზენტაცია, შუალედური გამოცდა ან თხზულება, საბოლოო თხზულება, წერილობითი კრიტიკული რეაქციები საკითხავ მასალაზე, წიგნის რეცენზია, კვლევითი პროექტი, სოციალურ გარდაქმნაზე მიმართული საპროექტო წინადადების შემუშავება, საჯარო პოლიტიკის ანალიზის ნარკვევის შექმნა და სხვა. არც ერთ კურსში დასკვნითი გამოცდის ხვედრითი წილი საბოლოო შეფასებაში არ აღემატება 40%-ს. მხოლოდ სამაგისტრო ნაშრომის შეფასებაა დამოკიდებული ექსკლუზიურად საბოლოო პროდუქტზე.

ცალკეულ კურსებში შეფასების სისტემა აღწერილია შესაბამის სილაბუსებში, რომლებიც მოცემულია დანართების სახით.

კ) პროგრამის სასწავლო გეგმა

სასწავლო კურსების სილაბუსები წარმოდგენილია დამოუკიდებელი ფაილების სახით (<u>**დანართები 1.1-3.7**</u>).

ქვემოთ მოცემულ ორ ცხრილში წარმოდგენილია პროგრამის სასწავლო გეგმა სავალდებულო და არჩევითი ბლოკების მიხედვით და სემესტრული განაწილების მიხედვით.

<u>პროგრამის სასწავლო გეგმა</u>

#	კურსის/სემინარის დასახელება	სააუდიტორიო სთ/დამოუკიდებელი მუშაობა	კრედიტი ECTS	ლექტორი
მოსამზადებელი კურსები				
0.1	აკადემიური წერა და პრეზენტაციის უნარები	45/45	0 (ჩათვლა)	-
0.2	საინფორმაციო ტექნოლოგიები	15	0 (ჩათვლა)	-

პირველი (შემოდგომის) სემესტრი

სავალდებულო კურსები - 15 ECTS				
1.1	შესავალი ფემინისტურ თეორიებში	30/95	5	მ. ბადაშვილი
1.2	სოციალური კვლევის თვისებრივი მეთოდები (ერთად „ტრანსფორმაცია სამხრეთ კავკასიაში“ პროგრამასთან)	30/95	5	თ. ხუნწარია
1.3	საჯარო პოლიტიკის ანალიზი (პოლიტიკის ანალიზის სამაგისტრო პროგრამიდან)	30/95	5	ნ. მაჭარაშვილი
არჩევითი კურსები - 15 ECTS				
1.4	გენდერი და შრომა	30/95	5	ლ. ქირია
1.5	გენდერული თანასწორობა ეკონომიკურ პოლიტიკაში	30/95	5	ჩ. ჯაში
1.6	გენდერი და ნაციონალური სახელმწიფო	30/95	5	ა. რეხვიაშვი

				ლი
1.7	გენდერის სოციალურ-პოლიტიკური თეორია და პრაქტიკა (სოციოლოგიის სამაგისტრო პროგრამიდან)	30/95	5	ლ. გაფრინ-დაშვილი
1.8	სქესი, რეპროდუქცია და ფენიზმმი	30/95	5	მ. გაგოშაშვი ლი
1.9	პოსტსაბჭოთა პოლიტიკა („ტრანსფორმაცია სამხრეთ კავკასიაში“ პროგრამიდან)	30/95	5	გ. ხელაშვილი
კრედიტების რაოდენობა პირველ სემესტრში: 30				

მეორე (გაზაფხულის) სემესტრი

სავალდებულო კურსები - 10 ECTS				
2.1	ფემინისტური ფილოსოფია	30/95	5	თ. ცხადაძე
2.2	ქალთა უფლებების ისტორიული ასპექტები	30/95	5	თ. საბედაშვი ლი
არჩევითი კურსები - 20 ECTS				
2.3	აგენტობა, სუბიექტურობა და ცვლილება	30/95	5	მ. ბადაშვილი
2.4	ლიტერატურის ფემინისტური კრიტიკა	30/95	5	ს. ცოფურა-შვილი
2.5	გენდერი და იძულებითი გადაადგილება	30/95	5	ნ. არჯევანიძე
2.6	მასკულინობის კვლევა	30/95	5	თ. მელაშვილი
2.7	ქუირ თეორია და პრაქტიკა	30/95	5	ა. რეხვიაშვი ლი

2.8	გენდერი და ფსიქოანალიზი	30/95	5	მ. ჩიტაშვილი
2.9	კულტურა და იდენტობები ცვალებად საზოგადოებაში („ტრანსფორმაცია სამხრეთ კავკასიაში“ სამაგისტრო პროგრამასთან ერთად)	30/95	5	ლ. წულაძე
2.10	საბჭოთა კავშირის იტორია („ტრანსფორმაცია სამხრეთ კავკასიაში“ პროგრამიდან)	30/220	10	ტ. ბლოველტი
კრედიტების რაოდენობა მეორე სემესტრში: 30				

მესამე (შემოდგომის) სემესტრი

სავალდებულო კურსები - 10 ECTS				
3.1	კვლევითი სემინარი	30/95	5	ნ. არჯევანიძე
3.2	სასწავლო პრაქტიკა	0/125	5	ორგანიზაცია
არჩევითი კურსები - 20 ECTS				
3.3	მასკულინობა და ფემინურობა შუა საუკუნეების ევროპულ კულტურაში	30/95	5	თ. ცოფურაშვილი
3.4	გენდერი ვიზუალურ ხელოვნებაში	30/95	5	ს. ცოფურაშვილი
3.5	გენდერულად სენსიტური საჯარო პოლიტიკა და ადმინისტრირება (პოლიტიკის ანალიზის სამაგისტრო პროგრამიდან)	30/95	5	ნ. არჯევანიძე
3.6	გენდერი და სოციალისტური სახელმწიფო	30/95	5	ნ. არჯევანიძე

3.7	გენდერი და განვითარება	30/95	5	თ. საბედაშვილი
3.8	ფემინიზმი და პოსტკოლონიალიზმი	30/95	5	თ. მელაშვილი
3.9	სუბკულტურის სოციოლოგია (ანთროპოლოგიის სამაგისტრო პროგრამიდან)	30/95	5	ლ. წულაძე
კრედიტების რაოდენობა მესამე სემესტრში: 30				

მეოთხე (გაზაფხულის) სემესტრი

4.1	სამაგისტრო ნაშრომი		30	
სულ კრედიტების რაოდენობა სამაგისტრო პროგრამისათვის				**120**

ლ) პროგრამის ხელმძღვანელი / ხელმძღვანელები / კოორდინატორი

- სამაგისტრო პროგრამის ავტორები: ნინო ჯავახიშვილი, თამარ ცხადაძე, მარინე ჩიტაშვილი
- პროგრამის ხელმძღვანელი და კოორდინატორი: თამარ ცხადაძე, ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი. CV წარმოდგენილია დამოუკიდებელი ფაილის სახით *(დანართი 1)*.
- საერთაშორისო აკადემიური ხელმძღვანელი (foreign academic supervisor): ჯოანა რეგულსკა, რათგერსის უნივერსიტეტის ქალთა და გენდერის კვლევების დეპარტამენტის პროფესორი, საერთაშორისო პროგრამების დეკანი (ნიუ-ჯერსი, აშშ).

<u>პროგრამაში ჩართული ლექტორების სტატუსი:</u>

პროფესორი	2 (მ. ჩიტაშვილი)
ასოცირებული პროფესორი	5 (თ. ცხადაძე, ლ. წულაძე, ლ. გაფრინდაშვილი, ნ. მაჭარაშვილი, ჩ. ჯაში).
მოწვეული ლექტორი	7 (თ. საბედაშვილი, ს. ცოფურაშვილი, ნ. არჯევანიძე (აკადემიური სტიპენდიების პროგრამის ფარგლებში), მ. ბადაშვილი, ლ. ქირია, თ. ცოფურაშვილი)

აკადემიური პერსონალის აკადემიური ბიოგრაფიები წარმოდგენილია დამოუკიდებელი ფაილების სახით (დანართები 1-12).

მ) დასაქმების სფეროები

პროგრამის კურსდამთავრებულები კარგად არიან მომზადებულები როგორც პრაქტიკულ სფეროებში დასაქმების, ისე დოქტორანტურაში აკადემიური კარიერის გაგრძელებისათვის. პროგრამის ყოფილი სტუდენტები მუშაობენ საერთაშორისო და ადგილობრივ არასამთავრობო ორგანიზაციებში, ასევე სამთავრობო უწყებებში ექსპერტებად, მკვლევრებად.

დამატებითი დოკუმენტები

1. სასწავლო კურსების პროგრამები (სილაბუსები) -დანართები 1.1. – 3.7.

2. საკითხები მისაღები გამოცდისთვის - დანართი 1

3. აკადემიური პერსონალის აკადემიური ბიოგრაფიები - დანართი 2 - დანართი 13.

4. ინფორმაცია პროგრამის განხორციელებისათვის აუცილებელი მატერიალური რესურსების შესახებ - დანართი 13 - დანართი 17.

5. პროგრამის დამტკიცების აქტები - დანართები 18 და 19.

სასწავლო გეგმა

ფაკულტეტი: **სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა**

ინსტიტუტი / დეპარტამენტი / კათედრა / მიმართულება: **გენდერის კვლევა**
სასწავლო პროგრამის სახელწოდება: **სამაგისტრო პროგრამა გენდერის კვლევაში**
სწავლების საფეხური: **სამაგისტრო**
სასწავლო პროგრამის ხელმძღვანელი / კოორდინატორი: **თამარ ცხადაძე**

პროგრამის სტრუქტურა

120 კრედიტი (ECTS)												
სავალდებულო კურსები–40 კრედიტი (ECTS) + არჩევითი 50 კრედიტი (ECTS)+სამაგისტრო ნაშრომი/პროექტი 30 კრედიტი (ECTS)												
კოდი	სასწავლო კურსის დასახელება	კრედიტების რაოდენობა	სტუდენტის საკონტაქტო მუშაობის საათები სემესტრში		სტუდენტის დამოუკიდებელი მუშაობის საათები სემესტრში			დასკვნითი გამოცდის ჩაბარება	საგანზე დაშვების წინაპირობა	სწავლების სემესტრი		ლექტორი/ ლექტორები
			ლექცია	სემინარი / [illegible]	ლექცია–პრაქტიკუმებისათვის მომზადება	შუალედური გამოცდის/გამოცდების მომზადება	დასკვნითი გამოცდის მომზადება			შემოდგომა	გაზაფხული	
1	გენდერისა და ფემინისტური თეორიის	5	20	10	50 (აქედან 5 -	15	30	0	არ აქვს	X		მედეა ბადაშვილი

	საფუძვლები				(პრეზენტაცია)	(ესეი)	(ესეი)					
2	პოლიტიკის ანალიზი	5	15	15	55 (აქედან 15 - წერითი დავალებები, 5 - ნარკვევი)	10	28	2	არ აქვს	X		ნანი მაჭარაშვილი (თსუ)
3	სოციალური კვლევის თვისებრივი მეთოდები (ინგლისურად)	5	15	15	58	15	20	2	არ აქვს	X		თამარ ხუნწარია (AFP)
4	ფემინისტური ფილოსოფია	5	15	15	55 (აქედან 10 - პრეზენტაციები, 5 - სტატია ან რეცენზია)	10 (ესეი)	25 (ესეი)	0	არ აქვს		X	თამარ ცხადაძე (თსუ)
5	ქალთა უფლებების ისტორიული ასპექტები	5	16	14	35	30 (პრეზენტაციები)	30 (ესეი)	0	არ აქვს		X	თამარ საბედაშვილი
6	კვლევითი სემინარი / მეთოდები გენდერის კვლევისთვის	5	0	28	50 (აქედან 10 - პრეზენტაციები)	20 (საშინაო წერითი დავალებები)	25 (საბოლოო ნაშრომი)	2 (ნაშრომის წარდგენა)	სოციალური კვლევის მეთოდების კურსის დასრულება		X	ნარგიზა არჯევანიძე (AFP)

7	გენდერი და შრომა	5	15	15	55 (აქედან 15 - მოკლე ესეები, 15 - პრეზენტაციები, 5 - პოლიტიკის ანალიზის ნარკვევი)	10	30 (ესეი)	0	არ აქვს	X		ლელა ქირია
8	გენდერული თანასწორობა ეკონომიკურ პოლიტიკაში	5	14	14	50	15	30	2	არ აქვს	X		ჩარიტა ჯაში (თსუ)
9	გენდერი და ნაციონალიზმი	5	15	15	55 (აქედან 10 - პრეზენტაციები)	10 (ესეი)	20 (ესეი)	0	არ აქვს	X		ანა რეხვიაშვილი (AFP)
10	გენდერის სოციალურ-პოლიტიკური თეორია და პრაქტიკა	5	15	15	43	20	30	2	არ აქვს	X		ლელა გაფრინდაშვილი (თსუ)
11	სქესი, რეპროდუქცია და ფემინიზმი	5	15	15	55 (აქედან 15 - პრეზენტაციები)	15 (ესეი)	25 (ესეი)	0	არ აქვს	X		მარიამ გაგოშაშვილი
12	პოსტსაბჭოთა პოლიტიკა (ინგლისურად)	5	15	15	43	20	30	2	არ აქვს	X		გიორგი ხელაშვილი (თსუ)
13	აგენტობა, სუბიექტურობა და სოციალური ცვლილება	5	15	15	50 (აქედან 5 - პრეზენტაცია)	15 (ესეი)	30 (ესეი)	0	არ აქვს		X	მედეა ბადაშვილი
14	ლიტერატურის ფემინისტური	5	15	15	45 (აქედან 15 -	20	30	0	არ აქვს		X	სალომე

	კრიტიკა				პრეზენტაცია)	(ესეი)	(ესეი)					ცოფურაშვილი (AFP)
15	გენდერი და იძულებითი გადაადგილება	5	16	14	45 (აქედან 20- პრეზენტაციების მომზადება)	20 (კრიტიკული თხზულებები)	30 (ესეი)	0	არ აქვს		X	ნარგიზა არჯევანიძე (AFP)
16	მასკულინობის კვლევა	5	15	15	50 (აქედან 10 - პრეზენტაციები)	15 (ესეი)	30 (ესეი)	0	არ აქვს		X	თამთა მელაშვილი (AFP)
17	ქუირ თეორია და პრაქტიკა	5	15	15	55 (აქედან 10 - პრეზენტაციები)	10 (ესეი)	20 (ესეი)	0	არ აქვს		X	ანა რეხვიაშვილი (AFP)
18	გენდერი და ფსიქოანალიზი	5	18	12	40	20 (კოლოკვიუმი)	30 (ესეი, პროექტი)	0	არ აქვს		X	მარინე ჩიტაშვილი (თსუ)
19	კულტურა და იდენტობები ცვალებად საზოგადოებაში	5	15	15	43	20 (პრეზენტაციები)	30	2	არ აქვს		X	ლიკა წულაძე (თსუ)
20	საბჭოთა კავშირის ისტორია	10	15	15	138	35	45	2	არ აქვს		X	ტიმოთი ბლოველტი

21	მასკულინობა და ფემინურობა შუა საუკუნეების ევროპულ კულტურაში	5	15	13	50 (აქედან 10 - პრეზენტაციები)	20 (ესეი)	20	2	არ აქვს	X		თამარ ცოფურაშვილი
22	გენდერი ვიზუალურ ხელოვნებაში	5	15	15	45	20 (პრეზენტაცია)	30 (დღიური)		არ აქვს	X		სალომე ცოფურაშვილი (AFP)
23	გენდერულად სენსიტიური საჯარო პოლიტიკა და ადმინისტრირება	5	15	15	50	15 (პრეზენტაცია)	30 (ესეი)	0	არ აქვს	X		ნარგიზა არჯევანიძე (AFP)
24	გენდერი და სოციალისტური სახელმწიფო	5	15	15	45 (აქედან 10- პრეზენტაციების მომზადება)	20 (კრიტიკული თხზულებები)	30 (ესეი)	0	არ აქვს	X		ნარგიზა არჯევანიძე (AFP)
25	გენდერი და განვითარება	5	16	14	35	30 (პრეზენტაციები)	30 (საპროექტო განაცხადი)	0	არ აქვს	X		თამარ საბედაშვილი
26	ფემინიზმი და პოსტკოლონიალიზმი	5	15	15	50	15 (ესეი)	30 (ესეი)	0	არ აქვს	X		თამთა მელაშვილი (AFP)

27	სუბკულტურის სოციოლოგია	5	16	14	33	30 (პრეზენტაციები)	30	2	არ აქვს	X		ლიკა წულაძე (თსუ)
28	კვლევითი პრაქტიკა	5	-	125						X		საბაზო ორგანიზაცია
29	**სამაგისტრო პროექტი ან ნაშრომი**	**30**							პროგრამით გათვალისწინებული სასწავლო და პრაქტიკის კრედიტების შესრულება		X	ნაშრომის ხელმძღვანელი

პროგრამის ხელმძღვანელის(ების) ხელმოწერა _____

ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის ხელმოწერა _____

ფაკულტეტის სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის უფროსის ხელმოწერა _____

ფაკულტეტის დეკანის ხელმოწერა _____

უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის ხელმოწერა _____

თარიღი _____ ფაკულტეტის ბეჭედი